საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ბრძანება № 211/19

„28" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

2020 წლისთვის აბიტურიენტთა მიღების მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმის დამტკიცების თაობაზე

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზების მიზნით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე[1]" პუნქტის, 52-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თერებრვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" მე-13 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის №93 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების №1 დანართის შესაბამისად დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (გარდა დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საექთნო საქმის, სამეანო საქმის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ქართულ ენაში მომზადების, სახელოვნებო-შემოქმედებითი, სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა).
2. ამ ბრძანების №2 დანართის შესაბამისად დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-

0186 თბილისი, მინდელის ქ. 9
ტელ (+995 32) 2 47 33 33;

კითხვარის ფორმა დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საექთნო საქმის, სამეანო საქმის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.

3. ამ ბრძანების №3 დანართის შესაბამისად დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმა სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამისათვის და სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.
4. ამ ბრძანების №4 დანართის შესაბამისად დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.
5. ამ ბრძანების №5 დანართის შესაბამისად დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროგრამებზე მინიმალური კომპეტენციის გაზრდის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა.
6. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართების სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება არაუგვაინეს 2019 წლის პირველი ნოემბრისა.
7. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კანცელარიას ამ ბრძანების გაცნობის უზრუნველყოფა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგისა და ლოჯისტიკის სამსახურებისათვის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის.

დირექტორი **სოფიო გორგოძე**